

## ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები

ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია (რედაქტორები: ქეთევან ასათიანი, ეთერ ბერუაშვილი), თბილისი, 2004. 425 გვ.

ენრიკო გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები (ბიბლიოგრაფია) 2, ასკეტიკა და მისტიკა (რედაქტორი დალი ჩიტუნაშვილი), თბილისი, 2006. 392 გვ.

ენრიკო გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები (ბიბლიოგრაფია) 3, ჰომილეტიკა (რედაქტორი ედიშერ ჭელიძე), თბილისი, 2009. 580 გვ.

ენრიკო გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები (ბიბლიოგრაფია) 4, ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები (რედაქტორები: ნინო მელიქიშვილი, ციალა ქურციკიძე), თბილისი, 2009, 486 გვ.

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა 2004-2009 წლებში გამოსცა ენრიკო გაბიძაშვილის მრავალტომეული ბიბლიოგრაფიული ნაშრომის – „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლების“ პირველი ოთხი ტომი.

ნათარგმნი მწერლობა ძველი ქართული ლიტერატურის უდიდესი ნაწილია და მოიცავს შუა საუკუნეების ქრისტიანული მწერლობის ასეულობით ძეგლს, რომელთა უმეტესობა ბერძნულიდანაა ნათარგმნი, უფრო მცირე ნაწილი კი – ქრისტიანული მწერლობის მქონე სხვა ენებიდან: სომხურიდან, არაბულიდან, სირიულიდან და სხვა. ნათარგმნი მწერლობის დარგობრივი სტრუქტურა სრულად ასახავს ბიზანტიური სასულიერო ლიტერატურის დარგებს, და თითოეული დარგი ქართველ მთარგმნელთა ბეჭითი მუშაობის შედეგად სოლიდურადაა წარმოდგენილი ქართულ ენაზე. ეს დარგებია: ბიბლიოლოგია, აპოკრიფიკა,<sup>1</sup> ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, ასკეტიკა, ჰაგიოგრაფია, კანონიკა, ლიტურგიკა, ჰისტორიაფია, ჰომილეტიკა,

ძველი ქართული ნათარგმნი ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის შედგენის პირველი ცდა უკავშირდება ხელნაწერთა კოლექციების აღწერილობების შექმნას.<sup>2</sup> აღწერილობის თითოეულ ტომს მათი შემდგენელობის ურთავდნენ

- 1 აპოკრიფული ლიტერატურა („დაფარული“ წიგნები) ქრისტიანული მწერლობის დარგად ითვლება ბიბლიური აპოკრიფების მნიშვნელობით. მაგრამ აპოკრიფები სხვა ხასიათისაც არსებობს: ჰაგიოგრაფიული, დოგმატიკური, ასკეტიკური, კანონიკური და სხვ. ისინი ეკლესიის მიერ საერთო-საკითხავად შეწენარებული წიგნებისაგან განსხვავებით, ეკლესიური ხმარებისაგან დაფარულია, და ამიტომ მათ მიაკუთხებენ აპოკრიფთა რიგს. ასეთ ლიტერატურას ისეთივე დაფარულია, და ამიტომ მათ მიაკუთხებენ აპოკრიფთა რიგს. ასეთ ლიტერატურას ისეთივე დაფარულია, გვ. როგორც კანონიკურს. ანტონაც აპოკრიფები, ზოგადი გაგებით, ქრისტიანული მწერლობის ერთი კონკრეტული დარგი კი არა, არამედ მისი ცალკედია, ეკლესიის მიერ საკითხავად შეწენარებული ლიტერატურის მსგავსი დარგობრივი სტრუქტურის მქონე.
- 2 ამ საქმეში ბერი იღვაწეს როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა მკვლევრებმა: თ. ჟორდანიამ, მ. ჯანაშვილმა, ზ. ჭიჭინაძემ, დ. კარიჭაშვილმა, ე. თაყაიშვილმა, ი. ჭავახიშვილმა, მ. მარმა, ჟ. გარიტმა, რ. ბლეიკმა, კ. კეცელიძემ, ს. კაკაბაძემ, ალ. ბარამიძემ, ი. აბულაძემ, ე. ნიკოლაძემ, პ. გაგოშიძემ და სხვ., განსაკუთრებით კი – კ. კეცელიძის სახელობის ხელნაწერთა იმსტიტუტის მრავალრიცხვოვნები კოლექტივმა (ე. მეტრეველი, ლ. ახობაძე, ა. ბაქრაძე, თ. ბრეგაძე, რ. გვარამია, ნ. გოგუაძე, მ. დვალი, მ. დოლაგიძე, თ. ენუქიძე, ნ. კასრაძე, ც. კახაბრიშვილი, სტრუქტურის მქონე).

ანბანურ ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს ზემოთჩამოთვლილი დარგების მიხედვით (ცალკეული ტომების ფარგლებში). ეს საძიებლები, რა თქმა უნდა, ძალზე მწირად ასახავდა ოროგორც თარგმნით, ისე ორიგინალურ ლიტერატურას და უთითებდა თითოეული ძეგლის შემცველ მხოლოდ იმ ხელნაწერებს, რომლებიც ამ ტომში იყო აღწერილი.

ძველი ქართული ნათარგმნი ლიტერატურის პირველი ვრცელი ბიბლიოგრაფიული საძიებელი შეადგინა აკად. კ. კეკელიძემ, რომელმაც მასალა განალაგა ავტორების მიხედვით, ანბანურად.<sup>3</sup> ვინაიდან ამ ნაშრომის შედგენის დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართულ ხელნაწერთა ყველა ფონდის დაწვრილებითი აღწერილობა, ავტორმა ვერ შეძლო თითოეული ბიბლიოგრაფირებული თხზულების შემცველი ყველა ხელნაწერის მითითება. გარდა ამისა, ამ საძიებელში სხვადასხვა დარგის ლიტერატურა გამიჯნული არ იყო ერთმანეთისაგან და თითოეული დარგის მოცულობის განსაზღვრა საგანგებო ძიებას საჭიროებდა. კ. კეკელიძემ დამატებით შეადგინა ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ანბანური საძიებელი (შემდეგ ასეთი სახელების მიხედვით),<sup>4</sup> ძველი ქართული მწერლობის სხვა დარგების ბიბლიოგრაფია კი დღემდე გამოცემული არ ყოფილა.

ე. გაბიძაშვილის მრავალტომეული ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნ თხზულებათა პირველი სრული დარგობრივი ბიბლიოგრაფიაა. ამგვარი ნაშრომის საჭიროება დიდი ხანია იგრძნობოდა ქართულ ფილოლოგიაში. ნათარგმნი ლიტერატურის სრული ბიბლიოგრაფიის შესადგენად მუშაობა რამდენიმე ათეული წლის წინათ დაიწყო ხელნაწერთა ინსტიტუტში, მაგრამ ეს წამოწყება იმჯერად მხოლოდ ბარათებზე მასალის ამოწერით შემოიფარგლა. მუშაობამ სისტემური ხასიათი შეიძინა ხელნაწერთა ინსტიტუტში სამეცნიერო ინფორმაციისა და ბიბლიოგრაფიის განუოფილების ჩამოყალიბების შემდეგ, 1996 წლიდან (ხელმძღვანელი – ერრიკო გაბიძაშვილი). ამ განყოფილებაში მომუშავე მცირერიცხოვანმა ჯგუფმა საფუძლიანად განაახლა და შეავსო შეკრებილი ბიბლიოგრაფიული მასალა. იგი გააწეო არა ავტორების, არამედ თხზულებების სათაურთა მიხედვით, ანბანურად. თითოეულ ერთეულთან მოცემულია ცნობები ამ თხზულებათა შესახებ: ორიგინალის ენა, ავტორი, თხზულების რედაქციები, მთარგმნელი, ხელნაწერები, ტექსტის გამოცემები, კვლევითი ნაშრომები და სხვა.

საძიებელში ხელნაწერები მითითებულია გარკვეული თანმიმდევრობით: ჯერ დამოწმებულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდები: A (ყოფ. საეკლესიო მუზეუმი), H (ყოფ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი), S (ყოფ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი), Q (ყოფ. საქართველოს მუზეუმის ახალი ფონდი),

მ. კვაჭაძე, გ. კიკნაძე, ლ. კიკნაძე, ლ. მეფარიშვილი, გ. ნინუა, მ. ქავთარია, ლ. ქავაია, ლ. ქუთათელაძე, ც. ქურციკიძე, ლ. შათირიშვილი, მ. შანიძე, ქ. შარაშიძე, ნ. ჩხიკვაძე, ც. ჭანიერივი, ლ. ხევსურიანი)

3 კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში: მისსავე კრებულში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957, 3-114.

4 კ. კეკელიძე, ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია: იქვე, 115-211.

თბილისის ცენტრ. არქივი, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, ახალციხის, გორის, ზუგდიდის, პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკისა და აღმოსავლეთმცოდნეობის იმსტიტუტის ფონდები, იერუსალიმის, სინას მთის, ათონის ივირონის, ბოდლეს უნივერსიტეტისა და სხვა სიძველეთსაცავებისა.

ბიბლიოგრაფიული სერიის თითოეული ტომის სტრუქტურა ასეთია:

1. შესავალი წერილი ამ ტომში წარმოდგენილი დარგის ბიბლიოგრაფიის შედების პრინციპების შესახებ.
2. ვრცელი საცნობარო წარკვევი შესაბამისი დარგის ძირითად საკითხებზე.
3. დარგის თხზულებათა ბიბლიოგრაფია, ყველა მონაცემის გათვალისწინებით.
4. ამ დარგის ლიტერატურის კვლევისადმი მიძღვნილ სამეცნიერო შრომათა სია.
5. საძიებლები (ავტორთა, მთარგმნელთა, ხელნაწერთა).

ამრიგად, სერიის თითოეული წარკვეთი მარტო ბიბლიოგრაფიული ხასიათისა კი არაა, არამედ ლიტერატურისმცოდნეობითიც (საცნობარო წარკვევების დართვის გამო). ამდენად, იგი გამოადგება არა მარტო სპეციალისტებს, არამედ ძველი ქართული ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

სერიის პირველ წარკვეთში („ქართული წათარგმნი ჰაგიოგრაფია“) მკითხველი გაეცნობა, სახელდობრ, ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის მოკლე ისტორიას. საცნობარო წარკვევში განხილულია შემდეგი საკითხები:

I. მარტვილოლოგიური ჟანრის თხზულებების ქართული თარგმანები (წმინდა მხედრები, უვეცხლოდ მკურნალი, საერო პირები – მოწამეები, მოწამე დედები, მწვალებელთა და მაჲმადიანთაგან წამებულნი, მღვდელ-მოწამეები, ლირისი მოწამენი, მოწამეთა სახელობის სახალხო-რელიგიური დოქსაზულები, აღმსარებლები), გვ. 23-52.

II. „ცხოვრება-მოქალაქობის“ ჟანრის თხზულებათა ქართული თარგმანები (მესვეტეები, სალისები, ცნობილ მონაზონთა „ცხოვრებანი“, მოღვაწე დედები, წმინდა მღვდელმთაგრები), გვ. 52-73.

III. მეტაფრასული ჰაგიოგრაფია (სვიმეონ ლოლოთეტისა და იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასულ თხზულებათა ქართული თარგმანები), გვ. 73-81.

IV. აპოკრიფული ჰაგიოგრაფია, გვ. 82-84.

V. „შესხმები“ ჰომილეტიკაა თუ ჰაგიოგრაფია? გვ. 84-89.

VI. სვინაქსარული ჰაგიოგრაფია, გვ. 89-91.

VII. აღმოსავლურ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ქართული თარგმანები (სირიულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, არაბულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი ჰაგიოგრაფიული მწერლობის დარგში), გვ. 91-108.

VIII. მხოლოდ ქართულ თარგმანში შემორჩენილი ჰაგიოგრაფიული თხზულებები გვ. 108-115.

სერიის მეორე წარგვეთის საცნობარო წარკვევი („ქართული წარგმნი ასკეტიკა და მისტიკა“) შედგება მცირე შესავლისა (გვ. 15-18) და ორი თავისაგან:

- II. „სწავლანი წმიდათა მამათანი“ (გვ. 19-66).
- II. „თხრობანი წმიდათა მამათანი“ (გვ. 67-82).

მესამე წარგვეთის საცნობარო წარკვევი („ქართული წარგმნი ჰომილეტიკა“) შედგება შემდეგი თავებისაგან:

1. შესავალი (გვ. 14-18).
2. ქართულად თარგმნილი ჰომილეტიკური მემკვიდრეობა (ჰომილეტიკური კრებულები: მრავალთავი, „მარგალიტი“, გრიგოლი ლმრთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის საავტორო კრებულები; X-XII სს. ჰომილეტიკური კრებულები, მეტაფრასული კრებულები; გვიანდელი კრებულები: „ოქროს წყარო“, „კლიტე“, „სუფევა“, „სამასეული“, „მანანა“, გვ. 18-30).
3. ჰომილეტიკური თხზულებების ქართულ თარგმანთა ავტორები (მოკლე ცნობები თითოეული ავტორის შესახებ), გვ. 30-55.
4. მთარგმნელები, გვ. 55-56.
5. ბიზანტიური ჰომილეტიკური ლიტერატურის კვალი ქართულ ორიგინალურ სასულიერო მწერლობაში, გვ. 57-60.

მეოთხე წარგვეთს ერთვის სამი საცნობარო წარკვევი:

1. „წარგმნი ბიბლიოლოგია“ (აქ მოცემულია ძველი აღთქმის წიგნთა მოკლე შინაარსი, გვ. 14-50, ახალი აღთქმის წიგნთა მოკლე შინაარსი, გვ. 51-50, და ზოგიერთი განმარტება ბიბლიურ წიგნთა შესახებ, გვ. 66-74).
2. „წარგმნი ეგზეგეტიკა“ (გვ. 226-248).
3. „წარგმნი აპოკრიფები“ (ძველი აღთქმის აპოკრიფები, გვ. 369-384; ახალი აღთქმის აპიკრიფები, გვ. 384-390).

სერიის ოთხივე ტომი ერთნაირი დიზაინით და საკმაოდ კარგი პოლიგრაფიული ხარისხით გამოსცა გამომცემლობა „არტანუჯმა“. გამოცემის ხელმძღვანელი – ბუბა კუდავა.

ენრიკო გაბიძაშვილის ბიბლიოგრაფიული სერია უკვე იქცა ძველი ქართული მწერლობის მკვლევართა სამაგიდო წიგნად. ეს ფუნდამენტური წარმომი დიდად გაუადვილებს საჭირო ინფორმაციის მოძიებას ძველი ქართული თარგმნითი ლიტერატურით დაინტერესებულ ცველა პირს. ბიბლიოგრაფიული სერიის მომდევნო ტომები (დოგმატიკა-პოლემიკა, კანონიკა, ლიტერატურიკა, ჰიმნოგრაფია) ამჟამად გამოცემის პროცესშია და მალე მიღებს მკითხველი.

თამაზ კოჭლამაზაშვილი

„ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძეგლანი“ 1/2008, „ცოდნა“, 496 გვ.

„ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძეგლანი“, 2/2009, „ცოდნა“, 724 გვ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქრისტიანულ-არქეოლოგიური ცენტრის გრიფით 2008 წელს დაიწყო გამოცემა სამეცნიერო წელიწდეული სერიისა – „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძეგლანი“, რომლის მთავარი რედაქტორია პროფ. ეკვთიმე კოჭლამაზაშვილი. ამ დროისათვის უკვე სერიის 2 ტომია გამოცემული.

როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძეგლანი“ ქრისტიანულ სიძველეთა კვლევის ამსახველი კრებულია. სათაურში ნახსენები „არქეოლოგია“, მისი თავდაპირველი და ფართო მნიშვნელობით, სიძველეთმცოდნეობას გულისხმობს. სწორედ ქრისტიანულ სიძველეთა ფართო ძეგლა განზრახული ახლად დაარსებულ წელიწდეულში: ქრისტიანულ ტექსტთა გამოცემა და კვლევა, ქრისტიანული მოძღვრების სხვადასხვა პრობლემის განხილვა, საეკლესიო მწერლობა და მისი უანრები, ეკლესიის ისტორია, საეკლესიო სამართალი, საეკლესიო და სამონასტრო ტიპები, ქრისტიან მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება, ქრისტიანული ხელოვნება და სხვ.

ამ პერიოდულ გამოცემაში შესული ნაშრომები, ისევე როგორც ისინი, რომელთა გამოცემაც მომავალშია დაგეგმილი, სხვადასხვა ფორმატისა და ხასიათისაა: სამეცნიერო სტატიები, ტექსტთა პუბლიკაციები, საეკლესიო-ისტორიული საბუთები, ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროთა თარგმანები, რეცეზიები, ახალი სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, ინფორმაცია სამეცნიერო ფორუმთა შესახებ და ცნობები ქრისტიანულ სიძველეთა საკვლევ პროექტთა შესახებ. ასე რომ, წელიწდეულის კვლევითი დიაპაზონი მეტად ფართოა.

„ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძეგლანის“ გამოქვეყნებულ ორივე კრებულში ათამდე სხვადასხვა რუბრიკა წარმოდგენილი:

ადრინდელი პატრისტიკიდან მკითხველს შეუძლია, გაეცნოს ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორის, ეკლესიის ისტორიისა და პატრისტიკის მკვლევრის ლორენცო პერონეს სტატიას: „ძალლების“ განდევნა ლოცვის უამს: მლოცველის სახე დემონება და ანგელოზებს შორის ორიგენედან ევაგრეპონტელამდე“ (II, 9-53). ლოცვის მისტიკისა და თეორიისადმი მიძღვნილი ეს გამოკვლევა მოხსენებად წაკითხულ იქნა თბილისში, ივ. ჭავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტში, 2008 წლის 8 ოქტომბერს. ქართული თარგმანი ეკუთვნის მაგდა მჭედლიძესა და ცისანა ბიბილეიშვილს.

დოგმატურ-სალმრთისმეტყველო ლიტერატურის რუბრიკით დაიბეჭდა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ავტორიტეტის, წმ. გრიგოლ ნოსელის (+394) ორი უმნიშვნელოვანესი დოგმატიკური თხზულება: „დიდი კატექეტური სიტყვა“ (ძველი ქართული თარგმანის პირველი პუბლიკაცია; I, 7-104) და „დაბადებისათვეს კაცისა“ (გიორგი მთაწმიდლისეული

თარგმანის პირველი კრიტიკული გამოცემა; II, 54-235).<sup>1</sup> ორივე მათგანი უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა. ტექსტებს ერთვის საღმრთისმეტყველო-ფილოლოგიური გამოკვლევები, რომლებშიც შესწავლილია ქართული თარგმანების თავისებურებანი და მათში ასახული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია (ქართულ-ბერძნული შესატყვისობანი); ასევე, დადგენილია „დიდი კატექეტური სიტყვის“ ქართული თარგმანის ატრიბუცია: აქამდე იგი გიორგი მთაწმიდელს მიეწერებოდა. ხოლო ე. კოჭლამაზაშვილი, მთარგმნელობითი სტილის ანალიზის საფუძველზე, ასაბუთებს, რომ ნოსელის ეს დოგმატიკური ნაშრომი ქართულად ეფთვიმე მთაწმიდელს უთარგმნია.

ასევეტიყის რუბრიკით გამოქვეყნდა მაია რაფავასა და ნანა ჩიკვატიას გამოკვლევა: „სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის მაწუეველი სიტყუად სინანულისა მიმართ“ (II, 236-302). თხზულება XI-XII სს-ის ქართულ დოგმატიკურ ანთოლოგიაში („დოგმატიკონში“) XI ს-ის ბიზანტიელ მწერალს ნიკიტა სტითატს მიეწერება. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იგი სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველის ქმნილება უნდა იყოს. გამოკვლევას ერთვის ძველი ქართული თარგმანის ტექსტი, რომელიც აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა, და ქართულ-ბერძნული ტერმინოლოგიის ლექსიკონი.

ეგზეგეტიკური მწერლობიდან მკითხველი გაეცნობა წმ. გრიგოლ ნაზიანზელის „ნათელთათკას“ საკითხავის ბასილი მინიმუსის განმარტების ძველი ქართული თარგმანის ტექსტს, რომელიც გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთოთ თამარ ოთხმეზურმა (II, 303-341).

ჰომილეტიკური მწერლობის რუბრიკით დაიბეჭდა ორი ნაშრომი: მალხაზ კობიაშვილის „წმიდა გრიგოლ ნოსელის შესხმა წმიდისა ბასილისი, და მისი ძველი ქართული თარგმანი (I, 205-222) და ექვთიმე კოჭლამაზაშვილის „ერთი ფსევდოოქროპირისეული ჰომილის ატრიბუციისათვის“ (II, 342-374). სტატიებს ერთვის ხსენებული ჰომილების ძველი ქართული თარგმანების ტექსტები.

ექვთიმე კოჭლამაზაშვილის გამოკვლევით, ნათლისლების დღესასწაულზე წარმოთქმული ერთ-ერთი ჰომილია, რომელიც X ს-ის ქართულ ჰომილეტიკურ კრებულებში – „მრავალთავებშია“ შეტანილი და წმ. იოანე ოქროპირს მიეწერება, სინამდვილეში წმ. გრიგოლ ნოსელს უნდა ეკუთვნოდეს. მკვლევარმა, ერთი მხრივ, მიაკვლია ამ თხზულების ბერძნულ (ფსევდოეპიგრაფიკულ) დედანს, მეორე მხრივ, ტექსტოლოგიური და დოქტრინალური ანალიზით დაადგინა, რომ ხსენებული ჰომილის ავტორი წმ. გრიგოლ ნოსელი უნდა იყოს.

1 გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი წმ. გრიგოლ ნოსელის ამ თხზულებისა მანამდე გამოსცეს ნინო შალამბერიძემ (იხ. მისი სადისერტაციო ნაშრომი: „დაბადებისათკას კაცისას“ გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი“, თბ., 1968) და გრიგოლ რუხაძემ (იხ. წმიდა გრიგოლ ნოსელი, შესაქმისათვის კაცისა, სამი ქართული რედაქცია, უძველესი (VIII-IX ს.), წმ. გიორგი მთაწმიდლისეული (XI ს.) და ახალი თარგმანი გვანცა კოპლატაძისა ბერძნული ტექსტითურთ, თბ., 2010, 197-295).

**ჸავიოგრაფიის რუბრიკით** სამი ნაშრომი გამოქვეყნდა: ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა გამოსცა კრიტიკულად დამუშავებული ტექსტები წმ. გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრების“ ორი ძველი ქართული თარგმანისა ( გიორგი მთაწმიდლისა და ეფრემ მცირისა) და დაურთო მათ ტექსტოლოგიური გამოკვლევა (II, 375-539).<sup>2</sup>

თინა ცერაძემ და ლელა ხოფერიამ პეტერბურგის სიძველეთსაცავებში მიაკვლიეს „იოანე მოწყალის ცხოვრების“ აქამდე უცნობ ქართულ თარგმანს და მოამზადეს იგი გამოსაქვეყნებლად ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვის დართვით (II, 540-581).

ეკა ჭყოძის სტატია – „სასწაულების ინტერპრეტაცია გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“ – წარმოადგენს პირველ მცდელობას გიორგი მცირის თხზულების გაანალიზებისა ამ კუთხით (II, 582-609).

**სასულიერო პოეზიის რუბრიკით** გამოქვეყნებულია ქეთევან ბეზარაშვილის სამეცნიერო წერილი „ქართული არალიტურგიკული სასულიერო პოეზიის შესწავლისათვის“ (II, 610-620).

**ლიტურგიკის** საკითხებს მიეძღვნა ორი ნაშრომი: ლილი ხევსურიანის „ზატიკის ორი ძველქართული რედაქცია“ (I, 223-348) და ექვთიმე კოჭლამაზაშვილის „წინდობისა და ქორწილის საეკლესიო რიტუალი უძველეს ქართულ კურთხევათა კრებულებში“ (I, 349-369).

ლილი ხევსურიანის ვრცელი ნაშრომი ქართული ზატიკის პირველი ფუნდამენტური გამოკვლევაა. მასში ავტორი იძლევა გიორგი მთაწმიდლისეული ზატიკის ზედმიწვნით დახასიათებას, გამოკვეთს მის თავისებურებებს და მიმართებას ანალოგიურ ბერძნულ კრებულებთან. იკვლევს გიორგი მთაწმიდლის შემდეგდროინდელი ზატიკის ატრიბუციას და მას ანტონ ჭყონდიდლის (XIII ს.) სახელს უკავშირებს. ნაშრომში გამოვლენილია იოანე მიმჩხის აქამდე უცნობი რამდენიმე საგალობელი (სტატიას ერთვის მათი ტექსტებიც), და ტექსტობრივ მასალაზე დაურდნობით გამოთქმულია ახალი მოსაზრება ჰიმნოგრაფიის სამოღვაწეო ადგილის შესახებ.

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი იძლევა წინდობისა და ქორწილის უძველესი საეკლესიო რიტუალის ამსახველი ტექსტის პირველ პუბლიკაციას კომენტარებითურთ.

**ქრისტიანული პედაგოგიკის** მონაკვეთი გვაცნობს ქეთევან ბეზარაშვილის სამეცნიერო წერილს „ზოგადი განათლება ბიზანტიაში: ჰერმენევტიკური გრამატიკისა და ლექსთწევობის ზოგიერთი განმარტებისათვის ბიზანტიურ და ქართულ წერილობით წყაროებში“ (I, 370-414).

**რელიგიური ისტორიოგრაფიის** საკითხებს ეხება ნინო დობორჯგინიძე გამოკვლევაში: „შუა საუკუნეების რელიგიური ისტორიოგრაფია და იბერების იდენტიფიკაციის პრობლემა“ (II, 621-634).

2 ორივე თარგმან პირველად გამოაქვეენა ნ. მრევლიშვილმა. იხ. მისი ნაშრომი: „გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრების“ ქართული რედაქციები“, თბ., 2001.

საღმრთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლების რუბრიკით გამოქვეყნდა ქეთევან ბეზარაშვილის ნაშრომი: „ქართული ელინოფილური სკოლების კვლევის პერსპექტივა: შავი მთიდან გელათამდე“ (II, 635-650).

საეკლესიო-იერარქიული ტერმინოლოგიის სათაურით მცითხველი ეცნობა თამარ მესხის გამოკვლევას „ტანუტერის ეტიმოლოგიისათვის“ (II, 651-664). აქამდე ქართველ და სომეს მკვლევართა ერთსულოვანი აზრით, „ტანუტერი“, როგორც საეკლესიო-იერარქიული ტერმინი, ქართულში სომხურიდან შემოსულად ითვლებოდა (სიტევა სომხურად ნიშნავს „სახლის უფალს“, „მამა-სახლისს“). წერილის ავტორმა ტერმინ „ტანუტერის“ შემცველი ტექსტების ანალიზითა და ენათმეცნიერული კვლევა-ძიებით დაადგინა, რომ „ტანუტერი“ ქართულში შემოსულია არა სომხურიდან, არამედ ბერძნულიდან.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის რუბრიკით დაიბეჭდა ორი სტატია: დავით ჯაფარიძის „არქიმანდრიტ ტარასი ალექსი-მესხიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (I, 415-426) და ნუგზარ პაპუაშვილის „ქორნელი კეკელიძე პირველ საეკლესიო კრებაზე, და ამ კრების ორი კანონიკური დოკუმენტის ატრიბუციის საკითხი“ (I, 427-448).

ქრისტიანობისა და ეთნოლოგიის რუბრიკა გვაცნობს ნინო ღამბაშიძის გამოკვლევას: „მცხეთის ჯვარი და საქართველოს გაქრისტიანების სამი ეტაპი“ (I, 449-464), ხოლო ქრისტიანული ხელოვნების რუბრიკა – ნინო ჭიჭინაძის სტატიას: „წმ. ნიკოლოზის ხატი სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან“ (I, 465-483).

თითოეულ სამეცნიერო წერილს ახლავს რეზიუმე ინგლისურ ენაზე. II ტომს ერთვის სამეცნიერო ინფორმაციისა (შეადგ. ქ. ბეზარაშვილმა და თ. ოთხმეტურმა) და ბიბლიოგრაფიის მიმოხილვა (შეადგ. ქ. ბეზარაშვილმა) (II, 665-709).

„ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანის“ I-სა და II ტომში გამოქვეყნებული კვლევები მცითხველს მეცნიერულად სანდო და შინაარსობრივად მრავალმხრივ ინფორმაციას აწვდის, რის გამოც წელიდწეული სერია უკვე მაღალმოთხოვნად გამოცემად გადაიქცა. იმედია, რომ ახალი პერიოდული გამოცემის ფართო თემატური დიაპაზონი და წარმოდგენილი კვლევის ხარისხი მომდევნო გამოცემებშიც შენარჩუნდება და ჰუმანიტარული აზრის მოყვარულთ კვლავაც მიეცემათ საშუალება, მშობლიურ ენაზე გაეცნონ მრავალ სიახლეს ქრისტიანულ სიძველეთა კვლევის სფეროდან.

თინა დოლიძე